ვებგვერდი, 111207009, 08/12/2011
სარეგისტრაციო კოდი
430030000.22.022.016234

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №197/ნ
2011 წლის 6 დეკემბერი ქ. თბილისი

,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №88/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის №88/ნ ბრძანების (სსმ III, 15.09. 2010 წ., N 117, მუხ. 1732):

დანართ №1-ით გათვალისწინებულ ჟურნალის წარმოების წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 პუნქტის ,,2.1.'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.1. ჟურნალის წარმოება ხორციელდება კონკრეტული კლასისთვის „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით (შემდგომში – ეროვნული სასწავლო გეგმა) და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების მიხედვით.''.

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,2.4.'' ქვეპუნქტი:

..2.4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა მოძრაობის (ჩარიცხვა/ამორიცხვა) შედეგად ჟურნალში მითითებულ მოსწავლეთა რაოდენობა გადააჭარბებს 40 მოსწავლეს, სკოლა ვალდებულია კლასში პარალელურად აწარმოოს მეორე ჟურნალი.

2. დანართ №2-ით გათვალისწინებულ ჟურნალის წარმოების წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 პუნქტის ,,2.2.'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2.2. ჟურნალის წარმოება ხორციელდება კონკრეტული კლასისთვის „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით (შემდგომში – ეროვნული სასწავლო გეგმა) და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების მიხედვით.’’;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,2.6’’ ქვეპუნქტი:

,,2.6. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეთა მოძრაობის (ჩარიცხვა/ამორიცხვა) შედეგად ჟურნალში მითითებულ მოსწავლეთა რაოდენობა გადააჭარბებს 40 მოსწავლეს, სკოლა ვალდებულია კლასში პარალელურად აწარმოოს მეორე ჟურნალი.

გ) მე-3 პუნქტის ,,3.7.6.’’ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.7.6. ყოველი სასწავლო დღის განმავლობაში კომპონენტების მიხედვით დაწერილი ნიშნების რაოდენობა გვერდის ბოლოს მოცემულ უჯრაში ,,ნიშების რაოდენობა”, ხოლო ყოველი სასწავლო დღის განმავლობაში ნიშნის არდაწერის შემთხვევაში უჯრაში უნდა მიეთითოს ,,X’’; (ცხრილი №2).

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი